თვითგამორკვევის პროცესში სტურუასთვის საეტაპო სპექტაკლად იქცა დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი" (მასზე შუმაობა თ. ჩხეიძემ დაიწყო და რ. სტურუამ დაამთავრა). სწორედ აქ მიმართა მან პერსონაჟთა დისტანციური ჭვრეტის მეთოდს, ბრეკტის „გაუცხოების ეფექტის" გამოყენებით მან მოვლენებისა და ხასიათების არსის გროტესკული გამშვლების გზას მიაგნო. რამაზ ჩხიკვაძის კირილე მიმინშვილის სცენური გადაწყვეტით მან არსებითად განსხვავებული ბახტინისეული მოსაზრება სახე-ნიღაბზე. რუსთაველელთა კირილე თავისი დაუღეგრობით და აყალმაყალით ჭეშმარიტად კარნავალური, ბალაგანური თეატრის პერსონაჟი იყო. მაშინ, როცა ფსიქოლოგიური თეატრის პრინციპები ასეროგად გაფუტმეული გასლდაო ევროპულ და რუსეთის თეატრებში, სტურუამ იგრძნო, რომ ნამდვილობის ილუზიის შემქმნელი (არისტოტელური) წარმოდგენა ნაძალადევი, თავსმოხვეული იყო ქართული თეატრალური კულტურისათვის. იგი მიილტვოდა მკვეთრად სანახაობრივი, გამონაკონის მშვენიერებით ანთებული, ჭეშმარიტი არტისტიზმით აღბეჭდილი თეატრისაკენ, რადგან მისი ფიქრით: — ქართველისათვის თეატრი დღესასწაულია, ხელოვნების სხვადასხვა სფეროს შემეცელი, რომელსაც მუდამ თან ახლავს დიდი ინტერესი და სიყვარული თეატრალური ფორმებისადმი. ქართველი ხალხისათვის თეატრი სულიერი მოთხოვნილებაა. ეს ყოფამიც იგრძნობა, ადამიანის დაბადებას, ქორწილს თუ გარდაცვალებას ჩვენში საგანგებო რიტუალი ახლავს. ამიტომაც ხალხის ცხოვრება აპირობებს დრამატურგიის უგულებელყოფას, ან უხეშ ჩარევას. უბრალოდ, მან მიაკვლია, რომ თეატრის ლექსიკა დღეს უფრო მდიდარია, ვიდრე შექსპირის, ბრეკტის ან კაკაბაძის დროს იყო. თეატრს აქვს იმის უფლება, რომ დროის გამოცდილება მიუსადაგოს დრამატურგიულ ნაწარმოებს. სტურუას „ყვარყვარე" სერიოზული განაცხადი იყო სანახაობისა და თეატრალური პუბლიციტიკის შერწყმის თვალსაზრისით. ალბათ, იშვიათად გამოუწვევია რომელიმე სპექტაკლს საქართველოში საზოგადოებრივი აზრის იმგვარი გამოცოცხლება, როგორც „ყვარყვარეს" მოჰყვა. იგი „ყვარყვარიზმის" არსში გვარკვევდა, ჩაგვაფიქრებდა, რომ მისი სინდრომი აღმოცენდება ადამიანური მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში. განსაკუთრებით თანამედროვეზე „ყვარყვარეს" სულისკვეთება დღეს ეღერს, სწორედ დღეს, როცა ამდენი რამ აღმოჩნდა ჩვენთვის წარსულიდან მიუღებელი, ისტორიის სანაგვეზე გადასაყრელი, როცა კვარცხლბეკებიდან მოცვივიან მონუმენტები.

ბრეკჰტის „კავკასიური ცარცის წრე" სტურუამ ეროვნული კოლორიტით გაეღინთა, იგი დაშორდა ბრეკჰტის ესთეტიკის ორთოდოქსულ გაგებას. „ბრეკჰტის თეატრის პრინციპებისა და ქართული ხალური ხელოვნების ტრადიციების შეერთების შედეგად დაიბადა ისეთი შთამბეჭდავი ძალის სახეობრივი სინთეზი, რომ არა მარტო შესანიშნავი სპექტაკლი მივიღეთ, რომელმაც მსოფლიოში ჰპოვა აღიარება, არამედ აღმოჩენილი იქნა ახალი, ღიმენსიული გზა ბრეკჰტისაკენ". (გ. ტოვსტონოგოვი).

„რიჩარდ III"-ის სპექტაკლი გადაწყვეტას ძნელად მიაგნო რეჟისორმა. შედეგები ხშირად ტანჯვით იბადებიან. ასე მოვლენია თეატრალურ სამყაროს სტურუასეული შექსპირი. ამ სპექტაკლის მიმართ ბევრი ითქვა და დაიწერა ჩვენშიც და საზღვარგარეთაც. ეს აღიარება ყველაზე სრულად წარმოჩნდა პიტერ ბრუკის მოსაზრებით, რომელიც მან გამოთქვა ედინბურგის ფესტივალზე: „მე გულწრფელად მახარებს სპექტაკლის წარმატება, რადგან იგი მიმაჩნია ახალ და დიდ ორიგინალურ სიტყვად შექსპირის ამ ტრაგედიის გადაწყვეტაში. არაჩვეულებრივი რიტმულობა, ტემპერამენტი, სიკეთილი, თეატრალური ფორმა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. შექსპირი ამ სპექტაკლს უეჭველად მოიწონებდა უფრო მეტიც, იგი დღეს რომ ცოცხალი იყოს, სწორედ ამგვარად დადგამდა თავის „რიჩარდს"... მე კარგად ვიცნობ საბჭოთა თეატრებს... გაცილებით უკეთ ვიცნობ ევროპულ თეატრს და ეს ცოდნა მაძლევს უფლებას თქვენი სპექტაკლი მივიჩნიო თეატრალური ხელოვნების შედეგად — განსაკუთრებით რეჟისორული ხელოვნებისა და რამაზ ჩხიკვაძის თამაშის გამო!.

რობერტ სტურუა თავის საუკეთესო სპექტაკლებში მიისწრაფვის ერთმანეთს შეუთავსოს შეუთავსებელები (ფსიქოლოგიზმი, პირობითობა, ტრაგედია, ფარსი, კლოუნადა, დრამა, მუსიკა, პლასტიკა). ასეთი სტილისტიკა სტურუას აზრით პროვოცირებულია თვით მაყურებლის ეროვნული მიდრეკილებით — ქართველებს არ უყვართ მოწყენა თეატრში მრავალმხრივობას ეძებენ. რეჟისორს ამდენად უნივერსალური მსახიობი და სინთეზური თეატრი აინტერესებს, რომელიც თანამედროვე ხელოვნების ყველა მონაპოვარს იყენებს. სტურუა თავისუფლად არღვევს ავტორის თეატრის პრინციპებს, მისთვის ავტორის ტექსტი შეუვალი გოდოლი არ არის, მას თავისი ჩანაფიქრის ადაპტაციის საშუალებად იყენებს და ქმნის საზოგადოებაში წამოჭრილ განწყობილებათა შესაფერ ხელოვნებას. სტურუას თეატრი მასშტაბური, ზედროული თეატრია, მას. არ აინტერესებს ყოფითობა თეატრში, მის სპექტაკლში გაშლილი მოქმედება არქეტიპულ, ზოგადადამიანურ, ზედროულ მასშტაბებს მიელტვის. ასევე არ შეადგენს სტურუას ინტერესის საგანს პერსონაჟის და სიტუაციის ფსიქოლოგიური დახასიათება, არც გეოგრაფიული კოლორიტი და ეროვნული სპეციფიკა არ იზიდავს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ სტურუა ქმნის ისტორიული და ეროვნული კონტექსტის გარეშე. ეროვნული ტრადიცია იმანენტურად იგულისხმება სპექტაკლის ავტორში, იგი მარადიულია (ამიტომაა, რომ შექსპირის და ბრეკჰტის თემებისა და სიუჟეტების ქართული ადაპტაციაა მისი სპექტაკლები, ისინი წმინდა ეროვნული ქმნილებებია). სტურუას „ოფიციერების არსში ჩაღრმავება სურს. კონკრეტულ-ემპირიულის უგულებელყოფა და ყველაფრის ტიპოლოგიური, მითიური არქეტიპებით ჭვრეტა რობერტ სტურუას თანამედროვე ხელოვნების ავანგარდში მიუჩენს ადგილს.

რობერტ სტურუა მწვავედ განიცდის დროს, მას როგორც არავის შეუძლია თავისი შემოქმედების ირონიზება და პაროდირება, რაც გარკვეულწილად ეხმარება კიდეც მოსალოდნელი შტამპებისაგან თავდასნაში. ხუთი წლის წინ მან თქვა: „დღევანდელი თეატრის მდგომარეობას მე ვუწოდებდი მძიმე დროებას", როცა ბოლო ათი წლის მანძილზე დაგროვილი, გამომუშავებული შტამპები, ძველი განწყობილება და ფორმალური ხერხები ალარავის აღარ აღელვებს. გაახალგაზრდავება გვწადია. უნდა დაივიწყო, რაც ადრე გიკეთებია. შეაძლოა, სულ ყველაფერი უნდა დაივიწყო, რაც კი ოდესმე თეატრში გიკეთებია. ამიტომ ახლა მე მსურს ვიმუშაო განსხვავებულ ეარებში (სწორედ ამიტომ მიმართა მან გ. ყანჩელისა და ბ. კვერნაძის ოპერების დადგმას) და ხელოვნების ჩემთვის ახალ სახეებში. იმედი მაქვს, რომ შეიგელი, სხვანაირი დავბრუნდები თეატრში".

ასე მოვიდა ის „მეფე ლირთან", საიაკენ სპექტაკლთან, რომელშიც რეჟისორმა მთელი თავისი გამოცდილება, მონაპოვარი ჩააქსოვა. პოლისტილისტიკა განსაზღვრავს ამ წარმოდგენის მხატვრულ ბუნებას, მისი სტილური თუ ჟანრული მრავალფეროვნება აქვს საგრძნობია, სპექტაკლის ავტორი სიმფონიური აზროვნების განსაცვიფრებელ უნარს ავლენს.

„მეფე ლირით" სტურუა ამკვიდრებს აზრს, რომ მაშინ როცა თეატრი არღვევს ტრადიციას, უფრო ერთგულია დრამატურგის, ვიდრე მაშინ, როცა ერთგულია ამა თუ იმ დრამატურგის მიმართ შექმნილი შტამპებისა.

„მეფე ლირით" სტურუა ყოველგვარი ბრონტაბის (სოციალური, ზნეობრივი, მორალური) წინააღმდეგ იბრძვის და არაკვევს იმას, თუ „როგორ იტანს ადამიანი ჩაგვრას, მონობას — მონობას ფულისას, ნივთებისას, მეორე ადამიანისას. რა ხდება მასში, რატომ ეწევა კაცი ამას და არ იბრძვის, რომ გამოსტაცოს სული ამ მარწყვებს".

რობერტ სტურუასათვის ამ სპექტაკლშიც უწინარესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ გამოიყურება სამყაროს გარეგნული რეალიები, არამედ იმას, თუ რომელი კანონებით არსებობს ეს სამყარო, რომელია უარესი დამონებული საზოგადოება თუ უზურპატორი, მძლავრი. „მეფე ლირში" დომინირებს სტურუას საყვარელი თემები: ადამიანი და ძალაუფლება, ადამიანი და სინდისი, ადამიანი და შურისგება.

რობერტ სტურუა კვლავ მთელი არსებით განიცდის დროის რიტმს, გულდასმით აყურადებს მის მაჯისცემას და შემოქმედის პასუხისმგებლობას დროის, საზოგადოების წინაშე ასე აყალიბებს:

— ჩვენი უმთავრესი საზრუნავი ახლა ისაა, რომ ამიერიდან მაყურებელს მოკიბულ-მოკიბული სიმართლითა, მოჩვენებითი აქტუალობით და მოჩვენებითი კონფლიქტებით ვეღარ მოატყუებ. მან უნდა იცოდეს სრული სიმართლე. უნდა ჩაიხედოს მოვლენის არსში, დაინახოს თავისი ნამდვილი სატკივარი, პასუხი იპოვოს იმ კითხვებზე, რომლებიც თვითონ ვერ გადაუჭრია... ხელოვნება თავისთავს უნდა მიუდგეს მკაცრად, უნდა ისწავლოს ისეთი აზროვნება, სოციალურ პასუხისმგებლობას რომ აკისრებს როგორც ცალკეულ მსახიობს, ასევე მთელ დასს. სიმართლე უნდა ვთქვათ თამამად, ამკარად უნდა ვილაპარაკოთ მწვავე საკითხებზე, იმ პრობლემებზე, მთელ საზოგადოებას რომ აწუხებს და აფიქრებს. მაყურებელი მაშინ მოვა თეატრში, როცა დაგიჯერებს, ირწმუნებს, რომ ჩვენ მას პატივს ვცემთ, იმისათვის ეშრომობთ და ვიხარჯებით, რომ მან სცენაზე ნახოს ჭეშმარიტი ხელოვნება...

მე ისიც კი მეჩვენება, ახლა უფრო მეტ სიფრთხილეს ვიჩენთ, ვიდრე ამ ათი წლის წინთ ვიჩენდით. რაც ახლა მოსკოვსა და მთელ რუსეთში ხდება, უბრალოდ შესაშურია. იქ მეტად იგრძნობა თავისუფლება, გარდაქმნისაკენ სწრაფვა, რადიკალური და კრიტიკული აზრის თამამად გამოთქმა, ვიდრე ჩვენში და ამიტომ მიკვირს კიდეც, რაშია საქმე, რატომ ვართ ასე ჩუმად. რატომ არა ვართ ისეთი გაბედულები, თუნდაც ამ ათი წლის წინ რომ ვიყავითო.

ყველას ახსოვს ბიუროკრატიზმის აღზევების პირობებში შექმნილი სტურუას სპექტაკლები. სითამამის, უკომპრომისობის გამო მაშინ თეატრს ბევრი უსიამოვნება შეხვდა. მართალია არცერთი სპექტაკლი არ მოუხსნიათ იდეური პოზიციის გამო, მაგრამ სტურუა მათი ავტორობის უფლებას მაინც ბრძოლით იპოვებდა...

სანდრო ახმეტელის შესახებ დაწერილ წერილში რობერტ სტურუამ მაგიური თვალით დანახა თავის დიდი წინაპრის ბუნება, „ხშირად მიფიქრია, რა იყო ბოლოს და ბოლოს ახმეტელი ქართული თეატრისათვის. ჩემი ღრმა რწმენით, მისი სახელი უკაშკაშდება რაღაც წმიდათაწმიდას! აი თუნდაც — ქართულ ანბანს, ლეკს, ქართულ მელოსს, სიგალობელს, ჩვენი ტაძრების განუმეორებელ იდუმალებას". რობერტ სტურუამ სწორედაც რომ შექმნა თავისი ქმნილებებით განუმეორებელი იდუმალება, მაგრამ მაყურებელი მისგან სულ ახალს და ახალს მოელის... სტურუას ჩეხოვის „ალუბლის ბაღის" დადგმა სურს... ჩვენი საზოგადოებრიობა ელის ამ სპექტაკლს, როგორც თეატრის მორიგ ბარაჯვებას. წინასწარ ვიცით, რომ ვნახავთ ახლებურად დანახულ ჩეხოვს, რობერტ სტურუა „ახალი მიწის" აღმოსაჩენად მიემგზავრება.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲚᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲠᲔᲟᲘᲝ ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲘ

არა ტრაბახმა თვალის მილულვით

კვლავაც განხილვა
აწ განხილულის,
გულს არ შემორჩა მაინც საჩინოდ...
არა ტრაბახმა
თვალის მილულვით,
— არამედ საქმემ გამოგვაჩინოს!
მადლობა უფალს!
დრმამან მრავალი
დატვიფრა, ბეჭდი დაახარისხა,..
და კარგად ვიცი, შთამომავალი
რა მორნს იცხებს,
რა წყალს დაახსომს!
ქვეყანა თავად დადგა მეგზურად,
მოზიდა ზარი
და დაარისხა!..
მაგრამ მაგანი წინანდებურად
ისევ ატარებს გულში დარიშხანს!
საერო საქმეს,
ფიქრსა და გარჯას,
ახე თანდათან ჭკუით გატანილს,
ზოგ-ზოგი მაინც ულერებს ხანჯალს,
წაღმა-უკუღმა ენის ტარტალით!
რიხი პატრონი,
რიხი მაქნისი,
ან რა ზეგარდმო ნიჭით ცხებული?
ალარ გათავდა ეს პარაკლისი,
ვითომ და მიწყივ „თავდადებულის"?!
გამოვა ახლა ვინმე რეგვენი,
დამიწყებს კრუსლვა:
კიდევილი ქკალად!...
— ჯერ რამ იღვაწე,
ჯერ რამ შექმენი
და მერე მიწყდი მარხულის ხალათს!
ვის ვინ გონია სხვაზე დედალი,
სხვისებრ დროდადრო
თავის დამხრელი?
მაგრამ გულს ღადრავს სხვა ნაღვერდალი,
ვით ჯამში ძველი ღვინის ნარჩენი...
სხვა დრო მოვიდა!?
— შენს პირს შაქარი!
დაიმსხვრა მრუდე ყინულის სარკე!
არა განდგომით,
არა ჭაქანით,
ჩვენ მამულს მხოლოდ სიმტკიცით ვარგებთ!
და არა ერთხელ,
წამებულ სახით,
გადაიბრალა გმირობა ბევრმა!
მაგრამ ვინც დარჩა
ერთგული ხალხის,
დღეს კარგად იცის ერმაც და ბერმაც!
გულით გათელილი,
გონით არწყული,
რაც სულმა ახე მოისაკლისა,
— ხმამაღალა ითქვა სიტყვა კაცური,
მამულს რომ ხნელში მისდეს სახნისად!..
ოდენ მალამოდ დაედო ტკივილს
შენება ხოფლის,
რწევა აკვნისა...
ამოდის კვამლი, მამული ყივის
და მუცლით იძერის
მოდგმა ქართველისა!
რაც გვკონდა ავდრით სადარდებელი
ამერ-ამერნა
ერთად ვიდარდეთ
და ღუის კერა სულის შებერვით
ბორნაბუჯიდან
— ბალადდამდე!
სად ხანჯლიანი ბიჭის, ხმა ისმის:
— „ეგ მზე და მთვარე
მამყოფინეთ..."
— აგე, ბოლნისით,
აგე, დმანისით,
ციხკენ გრიალით მიდის ლილეო!
— დიალაც დადის,
დიალაც ივლის,
ამაყი ჯიშის ბოკვერი ხვადი!
...უახლოვდება დიდგორით თბილისს
აღმაშენებლის ვეება ლანდი!
სანამ დაგვაყურებს ამ ცა-ფირუზით
კავკასიონის ქედი ბებერი,
— შენ უნდა შესძლო,
— მე უნდა შევძლო,
— ჩვენ უნდა შევძლოთ შეუძლებელი!

1988 წ. 28 ივლისი.

ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲛᲐ

ᲘᲚ უკვე ტრადიციად დამკვიდრდა: ყოველწლიურად ვაჟა-ფშაველას დაბადების დღეს პოეტის სამშობლოში იკრიბება მისი ნიჭის მრავალი თაყვანისმცემელი, რათა თაყვანი სცეს სიტყვის დიდ ოსტატს, ერთხელ კიდევ დატკბეს მისი პოეტური სამყაროთი — ხალასი და კეთილი, ლამაზი და ამაღლებული სამყაროთი... აი, უკვე რამდენიმე ათეული წელია პატარა ფშავური სოფელი ჩარგალი ათიათასობით ადამიანის თავმოყრის ადგილი ხდება: აქ, თითქოს ყველაფერს შემოუნახავს ვაჟას სუნთქვა. აქ ყველაფერი — ეს მთები, ეს მოჩხრიალე პატარა მდინარე ჩარგლურა, მომცრო სახლი, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა ლუკა რაზიკაშვილი, თავი რომ უკვდავყო თავისი შემოქმედებით და შევიდა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, დაკავშირებულია ვაჟა-ფშაველას საზეიმოდ.

წყლევანდელი ვაჟაობა დუშეთში დაიწყო. ცენტრალურ სკვერში 30 ივლისს გაიხსნა დიდი პოეტის ძეგლი. ამ მოვლენისადმი მიძღვნილმა ხალხმრავალმა მიტინგმა ეროვნულ კიდევ დაადასტურა, რომ ვაჟას პოეტური სიტყვა უკვდავია.

ზეიმში მონაწილეობისათვის აქ ჩამოვიდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, პ. გ. გილაშვილი და ბ. ვ. ნიკოლსკი.

მიტინგი გახსნა პარტიის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ოდიშელმა.

დიდი ვაჟას შემოქმედების ცოცხალ ტრადიციებზე, მის უკვდავ მემკვიდრეობაზე ილაპარაკეს მიტინგზე პოეტის ჩარგლის სახლ-მუზეუმის დირექტორმა ი. გოგოლაურმა, დუშეთის საშუალო სკოლის პედagogმა მ. როსტიაშვილმა, პოეტმა ვ. გორგანელმა და სხვებმა. შთამბეჭდავი პოეტური სტრიქონები მიუძღვნა თავის დიდ წინაპარს საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, პოეტმა ხ. ბერულავამ. და პოეტისადმი, მოაზროვნისა და მოქალაქისადმი უდიდესი სიყვარულით გამსჭვალული თითოეული სიტყვა ახალი ძალით ადასტურებდა აზრს, რომ ვაჟა-ფშაველა ჩვენი თანამედროვეა, იგი უხილავად მონაწილეობს ყოველ ჩვენს საქმეში, ჩვენი მრჩეველი და შემწეა. პოეტი ხალხში ცხოვრობს...

დიდებული და ბრძენი წარსდგა შეკრებილთა წინაშე ძეგლში გაცოცხლებული პოეტი. ამ სადღესასწაულო წუთებში ახალი ძალით აფეთქდა პატრიოტისა და მოქალაქის აფორიზმად ქცეული უკვდავი მან თავის შთამომავლებს წმიდათაწმიდა (ანდერძად:

სამშობლოს არვის წავართმევთ,
ჩვენც ნურავინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკადრსაც კი გაეცინება.

ამ სიტყვებს, ვაჟა-ფშაველას ძალულ შემოქმედებასაც დაბერება არ უწერია. ჩვენი ცხოვრების სულიერ თანამგზავრად ქცეული ეს სიტყვები ფუდამ გაგვამხნევებენენ შრომაშიც და ბრძოლაშიც, მთავგვიანად ძალას, მოგვაგონებენენ ზოგადსაკაცობრივი ღირებულებებს.

ძეგლის ავტორები არიან საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი, მოქანდაკე ი. ოჩიაური, არქიტექტორები — ნ. დუდაური და მ. ბიჭიაშვილი.

დღესასწაული დაამშვენა ადგილობრივი მხატვრული კოლექტივებისა და ხალხურ მოქმედთა გამოსვლებმა.

ვაჟაობა აღნიშნეს პოეტის შობლიურ სოფელ ჩარგალშიც. უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ იმ დღეს ვაჟას სახლ-მუზეუმისაკენ თანასოფლელები, ახალგაზრდობა, რომლებსაც მუდამ მხარში უდგას პოეტი.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: ვაჟა-ფშაველას ძეგლი ᲥᲐᲕᲘᲚᲘᲡᲗᲐᲜ შემოკავშირებულ ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ფოტო.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ „ᲨᲔᲓᲣᲦᲔᲑᲘᲡ“ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐ მეცნიერებმა თან მიერ შემუშავებული ფეროშესადნობების წარმოების ნაყარი წიდის მაღალი ტემპერატურით დამუშავების ახალი ტექნოლოგიის მეოხებით ერთდროულად ორი პრობლემა გადაჭრეს: გამოიკვლიეს მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემა — საწარმოო მტვრის უტილიზაცია და მიაგნეს შესადეგებელ წარმოებაში გამოსაყენებელი ეკონომიური ფლუსის დამზადებისათვის საჭირო უაღრესად დეფიციტური მანგანუმის მადნის იფფასიან შემცვლელს.

მანგანუმუხვი ფლუსებისათვის საჭირო ხელოვნურის ძირითადი წყარო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში იყო ჭიათურის მანგანუმის მადნეული აუზი, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან ა. ქიქოძესთან საუბარში შედეგებისა და სპეციალურ ტრომეტალურგის რესპუბლიკური სამეცნიერო-საინჟინერო ცენტრის ხელმძღვანელმა პროფესორმა სოსო იაკობაშვილმა. მაგრამ ამჟამად ეს ბუნებრივი მარაგი მნიშვნელოვანწილად შემცირდა. წამოიჭრა ტრადიციული ხელოვნურის შანგანუმშემცველი მასალით შეცვლის პრობლემა. ჩვენ შეკეთილი ამისათვის გამოგვეუნია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის გასაწმენდი სისტემების მტვრისებრი ნარჩენები და ნაყარი წიდები. ამის შედეგად მივიღეთ მასალა, რომელიც პრაქტიკულად ცვლის პირველი ხარისხის მანგანუმის მადანს. ამრიგად, ნარჩენების გამოყენებით შეიქმნებულია მანგანუმუხვი ფლუსების ახალი შედგენილობის მიღების ტექნოლოგია. ცდებმა ცხადყო მათი დადებითი ტანისობა. ეს ნამუშევარი აქტუალურად მიიჩნიეს და შეიტანეს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საკოორდინაციო ცენტრის „შედეგების“ პრობლემის გადაჭრისათვის შუშაობის პროგრამაში.

ქართველ მეცნიერთა ნამუშევარმა, რომელსაც გამოგონების საავტორო მოწმობა მიეცა, დაინტერესა ბულგარელი კოლეგები. მათ შემოგვთავაზეს დავიწყოთ ერთობლივი კვლევა ამ მიმართულებით. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რეს-პუბლიკური სამეცნიერო-საინჟინერო ცენტრის ბულგარეთის ანალოგიური ინსტიტუტის სოფიის უმაღლესი ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის ხელშეკრულება შესაბამება XIX საყოველთაო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებს ორმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზე სოციალისტურ ქვეყნებთან პირდაპირი ურთიერთობის დამყარების შესახებ. ბულგარელი მეცნიერები იკვლევენ ბაზალტის ფრმიბის ნარჩენების ამ მასალად გამოყენების პრობლემას, რომლებიც ცვლიან დეფიციტურ ნედლეულს, მათ შეუძლიათ გამოიყენონ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპეციალისტთა მიერ შემუშავებული ნიახლი. ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები შესაძლებელს გახდის კოლეგებმა მიერ შეძენილი გამოცდილების გამოყენებას ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადასაწყვეტად.

ხელშეკრულება თვალისწინებს ორივე ქვეყნის საწარმოთა წარმოების ნარჩენებისაგან ეკონომიური სუმფდოველობო ფლუსის დამზადების ტექნოლოგიის თვალსაბამა და ტესტირების, აგრეთვე სპეციალური ს

ᲣᲙᲚᲝᲕᲗᲘᲡ

საკრედო იუწყება
1 აგვისტო

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

გრძელდება მოლაპარაკება

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ხავიერ პერეს დე კუელიარმა ეუთნალ „ნიუსდეი“ ინტერვიუში გამოთქვა იმედი, რომ მალე მიაღწევენ ცეცხლის ოფიციალურ შეწყვეტას ირანსა და ერაყს შორის.

ამასთან ერთ ერთ, ერთ, მისი აზრით, „ყველაფერი დაუყოვნებლივ არ მოწესრიგდება“. უშიშროების საბჭოს 598-ე რეზოლუცია ირანსა და ერაყს შორის კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე უფრო მეტად შეიცავდა მიღწევის გეგმას, ვიდრე უბრალოდ ცეცხლის შეწყვეტა. იგი ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა გაგზავნას, საერთაშორისო აღიარებულ საზღვრებამდე უკანდახევას, ტყვეთა ურთიერთგაცვლას, ომისათვის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას, ექსპერტების მიერ სპარსეთის ყურეში უშიშროების აღდგენის ღონისძიებების შესწავლას. „მე მსურს, რომ ყველა ეს ელემენტი ერთდროულად ისხმებდეს ხორცს, — აღნიშნა პერეს დე კუელიარმა. — საჭიროა პოლიტიკური ნება, გულწრფელი კეთილი ნება, ჩემი აზრით, ჩვენ შეგვიძლია რეზოლუციის სრული განხორციელება დავიწყოთ რამდენიმე კვირის განმავლობაში“.

ორშაბათს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გაგრძელდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოლაპარაკება ირან-ერაყის კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე. როგორც აქ გამოაცხადეს, გაიმართება ზ. პერეს დე კუელიარის მორიგი შეხვედრა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრთან ალი აქბარ ველაიათისთან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ელოდება ამრეთვე ამ კვირაში ირანთან და ერაყთან სამხედრო ექსპერტების დაბრუნებას, რომელთა ამოცანაა მომაზდონ ტექნიკური პირობები ირანსა და ერაყს შორის ცეცხლის შესაწყვეტად.

● აშშ

მნიშვნელოვანი მისიით

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა საბჭოთა ინსპექტორების ოთხი ჯგუფი, რომლებმაც მნიშვნელოვანი მისია უნდა შეასრულონ — შეიმოწმონ საშაილი და ნაღლები სიშორის რაკეტების მოსპობის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულების დებულებათა დაცვა.

პენტაგონთან შექმნილი ადგილებზე ინსპექციის საამრთველოს წარმომადგენელმა კენდელ პიზმა განაცხადა, რომ საბჭოთა ექსპერტები ეწვევიან სარაკეტო ობიექტებს ფლორიდის, ალაბამის, მერილენდისა და ოკლაჰომის შტატებში. ინსპექცია დაიწყება ოთხშაბათს, 3 აგვისტოს.

◆ ესპანეთი

ავტოკატასტროფა

ᲛᲐᲓᲠᲘᲓ. სულ ცოტა ცხრა კაცი დაიღუპა და 50-ზე მეტი დაშავდა კვირას ესპანეთის ქალაქ ვენდრელის მახლობლად გზაზე მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად. ეს ქალაქი მდებარეობს ხმელთაშუა ზღვის სანაადგურო ტარაგონდან 50 კილომეტრზე. სასხლიანი ტრაგედიის მიზეზი გახდა ის, რომ ტურისტული ავტობუსი შეეჯახა ავტოსატრანსპორტზე სატვირთო მანქანას.

ფაქტი და კომენტარი

კეთილსასურველი ტენდენციები

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘᲓᲐᲜ, სადაც განლაგებულია ნატოს ბლოკისა და „საერთო ბაზრის“ შტაბ-ბინები, არცთუ ისე ხშირად მოდის კეთილი ცნობები. ამჯერად გამონაკლისია. ამ დღეებში იქ მომდინარე ევროპის ეკონომიკური გაერთიანების მორიგმა სესიამ საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე მიიღო დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება — გააკეთეთონ ურთიერთობა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების საბჭოთა. საქმე ეხება თანამშრომლობას ისეთ დარგებში, როგორიც არის გარემოს ბუნება, ტრანსპორტი, ენერგეტიკა, თევზჭერა. მინისტრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ორი დაჯგუფების შეთანხმებებს უნდა დაედოს ჯანსაღი საფუძველი, სხვაგვარად რომ ეთქვათ, მოჰკონდეს სარგებელი ორივე მხარისათვის.

ამრიგად, გადაიდგა კიდევ ერთი ნაბიჯი გზაზე, რომელსაც ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების საბჭო და ევროპის ეკონომიკური გაერთიანება დაახლოებით ორი წლის წინათ დაადგეს. სულ ახლახან მიღებულია გადაწყვეტილება ოფიციალური ურთიერთობის დამყარების შესახებ. ახლა საფუძველი ეყრება თანამშრომლობას, რომელიც მოიცავს ცხოვრების სხვადასხვა სფეროს. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ხდება დაახლოება დაჯგუფებებს შორის, რომელსაც დიდი წონა აქვთ მსოფლიო ეკონომიკასა და საერთაშორისო პოლიტიკაში. საკმარისია ითქვას, რომ ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში შემავალი დასავლეთ ევროპის 12 ქვეყნის წილად მოდის მსოფლიო სამრეწველო წარმოების თითქმის მესამედი. დაახლოებით ასეთივეა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების საბჭოს წევრი 10 ქვეყნის მონაწილეობის ერთობლივი მასშტაბები სამრეწველო პროდუქციის მსოფლიო გამოშვებაში. მრავალი თვალსაზრისით შეიძლებოდა ამ ფაქტორებზე ეკონომიკური და საგარეო ურთიერთობების ფართოდ გაფენა. ამ მიზნით საბერძნეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელი, რომელიც ოფიციალურ ვიზიტზე ეწვია თავმჯდომარეობს ამჟამად „საერთო ბაზარში“, შეხვედრა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს.

უეჭველია, ეს კეთილსასურველი ტენდენციები ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების საბჭოს და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ურთიერთობაში ხელს შეუწყობს კონტინენტზე მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს „საერთო-ევროპული სახლის“ მშენებლობაში.

ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲠᲘ

● ავღანეთი

„შეურიგებელთა“ ოპოზიცია

ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲘᲡ ოპოზიციის ექსტრემისტულად განწყობილი ნაწილის მოკმედების ძირითადი მეთოდი კვლავ ტერორი და დივერსიაა, რითაც ცდილობენ ქვეყნის მოსახლეობის დაშინებას. მეამბოხეები ცეცხლს უშენენ დასახლებულ პუნქტებს, რომლის მსხვერპლი მშვიდობიანი მეცხოვრებლები ხდებიან.

ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ თავრობის საწინააღმდეგო ასეთი ფორმირებები და ბანდჯგუფები, როგორიცაა „ავღანეთის ისლამური პარტია“, პაკისტანის ჯაფრის რაიონში მოკალათებული „ახუ-ავეიდის“ მეამბოხეთა პოლკის ქვეგანაყოფები, „ავღანეთის განთავისუფლების ისლამური კავშირი“ და სხვა, უცხოელი „ბრჩეკვლების“ ხელმძღვანელობით მიზნად ისახავენ მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესის ჩაშლას, ავღანეთში მართვის ფეოდალურ-დესპოტური სისტემის აღდგენას.

სშაᲨᲨᲗ: ასეთი „ძველი ნაცადი მეთოდიი“ ცდილობენ „შეურიგებელთა“ ფორმირების ბანდიტები უკულმა დაატრიალონ ისტორიის ჩარხი ავღანეთის ფარიბის პროვინციაში.

საᲐᲓᲔᲚᲘᲡ ფოტო.

ᲒᲣᲨᲘᲜ — ᲓᲦᲔᲡ — ᲮᲕᲐᲚ

ფაქტი — მოვლენა — კომენტარი

ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲜᲘ, ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

◆ **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ** ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტი ა. კორსანტია (პედაგოგი-პროფესორი თ. ამირეჯიბი), რომელმაც დამთავრა 1 პრემია და სპეციალური პრიზი ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში გამართულ პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში, „ორთვიან გასტროლებს გამართავს ავსტრალიის ქალაქებში.

◆ **ᲒᲣᲨᲘᲜ** ავსტრალიისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ორკვირიანი გასტროლებით გაემგზავრა საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრი ლიანა ისაკაძის ხელმძღვანელობით.

◆ **ᲒᲣᲨᲘᲜ** ბიჭვინთაში დაიწყო ტრადიციული „სიმფონიური მუსიკის ფესტივალი“, რომელიც გასტანს 19 აგვისტამდე. ფესტივალის კონცერტებში ბიჭვინთასა და გაგრაში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, მ. რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის ჯ. კახიძის გარდა დირიჟორის პულტთან დადგებიან ალეკსანდრე სიმეონიდისი (საბერძნეთი), სსრ კავშირის სახალხო არტისტი არნოლდ კაცი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე — ვალერი გეოგეევი. სოლისტები — ცნობილი საბჭოთა მემსრულებლები, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები ვლ. კრაინევი, ნ. პეტროვი, მ. Ელეტნიოვი, გ. Გინსლინი, ეთერ ანჯაფარიძე და ნინელი ახალგაზრდა მევიოლინე. მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ცენტრალური სამუსიკო სკოლის XI კლასის მოსწავლე ს. კრილოვი, რომელმაც უკვე ორჯერ მოიპოვა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის წოდება — პოლონეთში (1985 წ. IV პრემია) და ჩინეთში (1986 წ. II პრემია).

◆ **ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲜᲘ** საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი „რუსთავი“ ა. ეფრემაშვილის ხელმძღვანელობით ხუთ კონცერტს გამართავს ბოგდანოვკაში, ახალქალაქში, ახალციხეში, ხოლო 15 კონცერტს დმანისში, წალკაში,, ბოლნისში, მარნეულსა და თეთრი-წყაროში.

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲢᲐᲚᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲛᲘᲜᲓᲠᲘᲜᲐᲠᲘ წლის მაისიდან ქვეყანაში მიმდინარეობს ხალხური შემოქმედების შესამე ფესტივალი. დათვალიერებაში მონაწილეობენ მუშები, კოლმეურნეები, მოსამსახურეები, სტუდენტები, სკოლების, სამუალო სპეციალური და პროფესიონალ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრები, ოსნისა და შრომის ვეტერანები. ხალხური ტალანტების ამ ნამდვილ დღესასწაულში აქტიურად მონაწილეობს ჩვენი რესპუბლიკაც.

გაიმართა ფესტივალის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელზეც განიხილეს ხალხური ტალანტების ამ შემოქმედებითი ფორუმის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები.

ხალხური შემოქმედების შორეგა საკავშირო ფესტივალის შედეგებისა და იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც წლევანდელი მესამე დათვალიერების მოწყობას უკავშირდება, ინფორმაციები გააკეთეს საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ზ. კვაჭაძემ, რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილემ დ. ლომაძემ და კომიტეტის სხვა წევრებმა.

სხდომის შედეგები შეაჯამა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზ. ჩხეიძემ.

ᲗᲔᲐᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲐᲢᲐ

◆ **ᲡᲐᲮᲚᲘ** იცვლის და ლამაზდება თერჯოლის რაიონული ცენტრი. ქალაქი დაამშვენა შრომის სასახლის, პარტიის რაიკომის, რაიონული არქივის ახალმა 3-სართულიანმა შენობებმა.

ახლა მიმდინარეობს სასტუმროს აგება. იგი გაისად ჩადგება მწყობრში და ერთდროულად 120 სტუმარს მოემსახურება.

ᲘᲚᲘᲐ ᲩᲮᲙᲕᲐᲫᲔᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ-ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

◆ **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ** სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ მასობრივი ტირაჟით გამოსცა ტ. ბლაგიძის მონოგრაფია სათაურით „სკოლა და მასწავლებელი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითს მემკვიდრეობაში“.

ნაშრომში ლაპარაკია იმ დიდ მზრუნველობაზე, რომელსაც ი. ჭავჭავაძე იჩენდა ყმაწვილი თაობის სწავლა-განათლებისათვის.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ

◆ **ᲒᲣᲠᲯᲐᲜᲘ,** ოსი დრამატურგის ვ. ხუგაევის პიესით „ჩემი ცოლის ქმარი“ ადგილობრივმა სახალხო თეატრმა თავიისი წლევანდელი სეზონი გახსნა ახალ კულტურის ცენტრში. მაყურებელთა დარბაზის 760-ვე ადგილი დაკავებული იყო. თეატრალური ხელოვნების თაყვანისმცემლებმა გულთბილად მიიღეს დადგმა.

კულტურის ცენტრი, რომლის შენობა გასული წლის ნოემბერში წამოიმართა, სულ უფრო ჩვეული ხდება ადგილობრივი მეცხოვრებლებისათვის. ან რა გასაკვირია: დღე არ გიაგლის, რომ აქ თოჯინების თეატრის სპექტაკლი, რესპუბლიკის სხვა ქალაქების რომელიმე თეატრალური კოლექტივის წარმოდგენა, საინტერესო ადამიანებთან შეხვედრა და სხვა ღონისძიებები არ გაიმართოს. ყოველ შაბათ-კვირას ეწყობა დისკოთეკები. მუშაობს უალკოჰოლო ბარი და კაფე.

ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ

◆ **ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡᲨᲘ** აღიმართა რიტუალების სახლის ახალი შენობა, რომელიც ჩინებულად შეერწყა ქალაქის პეიზაჟს ორიგინალური მსატვრული გაფორმებით. იგი გახდა დღესასწაულებისა და რიტუალების მთავარი ცენტრი.

ახალგაზრდები აქ უკავშირებენ ერმომნეთს თავიანთ ბედს, იწყებენ ხანგრძლივ და ბედნიერ გზას, რომელიც მათ ერთად უნდა გაევლონ. აქ აღინიშნება ნათლობის, პირმშოს დაბადების რიტუალები, ოქროსა და ვერცხლის ქორწილები და სხვა დღესასწაულები.

სᲣᲠᲐᲗᲨᲘ: რიტუალების ახალი სახლი ზესტაფონში. საკანფორმის ფოტო.

ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲡᲛᲝᲬᲚᲔᲚᲔᲑᲘ

◆ **ᲧᲝᲚᲝᲡ** რაიონის სოფელ ღურტის საშუალო სკოლის ეზო, სადაც მოწყობილია ნოსტალგიის ბანაკი, ხალხით იყო სავსე. უცებ გაისმა ყვირილი — ვიღაცა შველას ითხოვდა. თურმე, ადგილობრივი მცხოვრებლები ოთარ პაქსაძე და მისი ვაჟი ჯელილი გაუფრთხილებლობის გამო 25-ტონიან ბეზნინის რეზერვუარში აღმოჩდნენ. მართალია, იქ საწვავი ცოტა იყო, მაგრამ მზუთავი გაზის გამო ორივემ გონება დაკარგა.

ყველაფერს წამები წყვეტდა. ყველას უნდოდა მათი დახმარება, მაგრამ ეს დიდ რისკთან იყო დაკავშირებული— ნებისმიერ გაფრთხილებელ ნაბიჯს შეიძლება ახალი მსხვერპლი მოჰყოლოდა. ამის მიუხედავად, პედაგოგი ოთარ წულუკიძე არ დაბნეულა. იგი ჩაეშვა რეზერვუარში, მოაბა მათ თოკები, რის წყალობითაც შეძლეს ზევით ამოეყვანათ მამა-შვილი.

რუბრიკისათვის გამოყენებულია საკადრისის, საკანფორმისა და „ოქროსანის“ კორესპონდენტთა ფოტოები.

სიმღერა ესტუმრა სოფელს

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრმა საქართველოს სახალგრმრეწვეთან შეთანხმებით წლევანდელი სეზონის მიწურულს საინტერესო ღონისძიებები გამართა რესპუბლიკის მშრომელებისათვის. გასულთმა კონცერტებმა ცხაკაია, ხობის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის რაიონებში და ენგურჰესზე, დიდი ინტერესი გამოიწვია. მათთან სტუმრად იყო გამოჩენილი მომღერალი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ზ. ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი, პროფესორი ზურაბ ანჯაფარიძე თავის კოლეგებთან ერთად.

ახლახანს თეატრის სოლისტებისა და სიმფონიური ორკესტრის (დირიჟორი ი. ჭიაურელი) 90-კაციანი ჯგუფი ეწვია სამხრეთ საქართველოს რაიონებს. „სოპერო მუსიკის შედეგრები“ — ასე ეწოდა ამ საღამოებს, რომელზეც აღიარდა დასავლეთ ევროპის, რუსი, ქართველი და სომეხი კომპოზიტორების საუკეთესო ქმნილებები. ახალციხის, ადიგენის, ასპინძისა და ბოგდანოვკის რაიონის მშრომელებს, კოლმეურნეებს დიდხანს ემახსოვრებათ ეს მუსიკალური საღამოები.

პირველი კონცერტი გაიმართა ადიგენის ხალმრავალ სტადიონზე. შემდეგ ახალციხეში მეგობრობის მუზეუმში ფორტეპიანოს თანხლებით გაიმართა კონცერტი საზოგადოებრივ საწყისებზე. სა-ოპერო შედეგრები აყოერდა ვარძიის თეატრონზეც, ბოგდანოვკის კულტურის სახლში გამოსვლით დამთავრდა მუსიკალური ზეიმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მ. ამირანაშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა — ე. გეწაძემ, ჯ. მდივანმა, ნ. მკერვალიძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არისტებმა ი. კავსაძემ, თ. ლაფურჩავილა, ვ. კანდელაკმა, ნ. გელაშვილმა, გ. წულუკიძემ, ოპერის სოლისტებმა. მ. დავითაშვილმა, ლ. ჩივაძემ, ტ. ᲭᲘᲜᲐᲫᲔᲛᲐ (კონცერტმეისტერი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. ᲒᲣᲠᲗᲝᲨᲕᲘᲚᲘ).

ერეკნის სმენიარაოვის სახელობის საოპერო თეატრის სოლისტების, სომხეთისა და საქართველოს სახალხო არტისტის ე. უუზუნიანის, სომხეთის დამსახურებული არტისტის მ. ანტონიანისა და მომღერალ ფ. ბაბურიანის მონაწილეობამ გაამრავალფეროვნა საკონცერტო პროგრამა და ჩვენი ხალხების მეგობრობას უფრო საზიმო ელფერი შემატა.

ნ. ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲕᲘᲚᲘ,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

მხატვრის ღიმილი

მისაღები გამოფენიდან ᲘᲔᲛ

— ᲐᲘᲚᲔᲗ რომელი ბილეთიც გინდათ.

— ᲔᲐ, ᲐᲮ ᲣᲙᲕᲔ ᲓᲘᲛᲝᲠᲐᲢᲘᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ?!



— ᲒᲐᲛᲘᲒᲔᲗ, ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲡᲐᲓᲐ ᲮᲘᲗ, ᲨᲐᲠᲒᲐᲚᲐᲐ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲬᲧᲝᲗ.

მ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ.

ᲒᲠᲫᲚᲔᲑᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲐᲓ... ᲡᲐᲑᲭᲠᲔᲚᲔᲗᲨᲘ

ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ წინაპრების სამშობლოში — საბერძნეთში მივმგზავრებიან პონტოელი ბერძნების მეორე მსოფლიო ყრილობის მონაწილენი, რომელიც გაიმართება სალონიკში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის თანამშრომლები, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებული ახალგაზრდობასთან მუშაობის სექციის წევრები, სოხუმის, ბათუმის, რუსთავის, წალკის ბერძენი მოსახლეობის წარმომადგენლები. მათ მომაზადეს მოხსენებები საქართველოში პონტოელი ბერძნების ჩამოსახლების ისტორიის, რესპუბლიკის დღევანდელი ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ. მოხსენებათა შინაარსი ილუსტრირებული იქნება ვიდეოკასეტებით და დოკუმენტური ფილმით „იქ, სადაც იაზონი იყო“. დელეგაციის წევრებს მოგზაურობის მთავარ მიზნად მიაჩნიათ დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ თვისტომთა მეგობრული კონტაქტების დამყარება. (საქინფორმი).

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲛᲔᲠᲘᲢᲝ ტურიდან მოყოლებული, თბილისის „დინამოს“ არც ერთი მატჩი არ მოუგია, არ აუღია არც ერთი ქულა. გუშინწინს, მეორე წრის სტარტზე, თბილისის „დინამომ“ ორი ქულა აიღო, მეხუთე გამარჯვება მოიპოვა ჩემპიონატში. არის გამარჯვება, რომელიც ქულებზე მეტად ფასობს. გუშინწინდელი მოგება სწორედ ასეთია კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ. ქართველი ფეხბურთელები თავაწეულნი ტოვებდნენ მოედანს, შვებით ამოისუნთქეს ფეხბურთკეთილმა, ერმელთა ოლიმპიკურ ნაკრებში შეიყვანეს.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲘᲡ. საბჭოთა კავშირის ნაკრებსა და ამერიკის პროფესიონალური საკალთო გუნდის „ატლანტა „ჰოქსის“ შეხვედრა — დასკვნითი მატჩი, რომელიც მოსკოვში გაიმართა, საბჭოთა კალათბურთელებმა გამარჯვებით დამთავრდა — 132:123. მოყვარულებმა პირველად დაამარცხეს პროფესიონალები.

ᲡᲐᲤᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲞᲐᲓᲠᲐᲯᲘ. ვაუ მოჰადრაკეთა საკავშირო ჩემპიონატის მეხუთე ტურში ელვეტმა დაამარცხა სპირინი, ბელიავსკემ — ᲑᲐᲠᲘᲝᲜᲝᲕᲘ. ᲩᲔᲣᲚᲔᲑᲐ გაიყვეს ივანჩუკი-ᲒᲐᲮᲔᲚᲜᲘᲫᲔ, ᲩᲔᲠᲜᲘᲩᲝᲕᲘ-ᲒᲠᲘᲜᲤᲔᲚᲓᲘ, ᲒᲐᲕᲠᲘᲩᲝᲕᲘ-ᲙᲘᲡᲐᲠᲘᲐ, ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘ-ᲒᲣᲚᲐᲩᲝᲕᲘ. ᲙᲐᲠᲞᲝᲕᲘ-ᲡᲐᲚᲘᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲚᲘ. ᲒᲠᲘᲜᲤᲔᲚᲓᲘ-ᲝᲬᲣᲚᲘᲜᲝᲕᲐ. 3,5 ქულით ლიდერობს გარი კასპაროვი.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡᲘᲡ. მოსკოვში დამთავრდა სსრ კავშირის თასის ვალთამაშება. ვაუთა შორის გაიმარჯვა მოსკოველმა კომბინაციური, კოლექტიური თამაშის ნაყოფი იყო: ყველამ ისტატურად დაგეგეგეგანა ეერიში, რომელშიც სამი თუ ოთხი ფეხბურთელი მონაწილეობდა.

წინ იყო პირველი ტაიმის 15 წუთი და მთელი მეორე ტაიმი. ასეთ დროს, შეტევის გაგრძელებაზე უარის თქმა და მხოლოდ ანგარიშის ჩვენებისათვის ზრუნვა ყოველთვის რისკთან არის დაკავშირებული. მართალია, „დინამო“ ახლა უკვე მეტი სიფრთხილით მოქმედებდა დაცვაში, მაგრამ არც შეტევებს ივიწყებდა — მეტოქის დაცვას საზრუნავი არ მოჰკლებია. „სპარტაკი“, ცხადია, არ ჰგავდა ბედს შერიგებულ გუნდს. მეორე ტაიმში წინ წაწეულ თავდამსხმელელებს — როდიონოროვსა და მალიმოვს აქტიურად ეხმარებოდნენ პასუოკო, ჩერენკოვი, სხვა მოთამაშეები, მაგრამ გაბელიას კალჭველიძე, ცაავა, გურული, მესხი (ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘ) ᲐᲐᲕᲐᲜᲐᲗᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲡ ᲓᲐᲡᲐᲯᲘᲚᲝᲓᲐᲜ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲢᲝᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲢᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲛᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲬᲣᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲬᲣᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დნ.“ Ქ.	15	10	4	1	23-6	24
„ᲓᲜᲘᲞᲠᲝ“	16	8	7	1	20-9	23
„ᲡᲞᲐᲠᲢ.“	16	7	7	2	22-14	21
„ᲧᲝᲚᲪ.“	16	7	6	3	21-15	20
„ᲢᲝᲠᲞ.“	16	7	5	4	18-15	19
„ᲖᲔᲜᲘᲗ.“	16	7	5	4	25-20	19
„ᲚᲝᲙᲝᲛ.“	16	6	5	5	19-16	17
„ᲓᲜᲘ.“ Ბ.	16	5	4	7	17-20	14
„ᲩᲔᲠᲜᲝᲛ.“	16	7	2	7	13-16	16
„ᲐᲠᲐᲠᲐ“	16	5	5	6	11-14	15
„ᲛᲔᲢᲐᲚ.“	17	4	7	6	15-21	15
„ᲓᲜᲘ.“ ᲛᲬ.	16	3	7	6	13-16	13
„ᲨᲐᲮᲢ.“	15	3	5	7	11-16	11
„ᲓᲜᲘ.“ᲗᲑ.	15	5	0	10	17-24	10
„ᲜᲘᲒᲗᲘᲗ“	16	4	2	10	16-25	10
„ᲙᲐᲜᲠ.“	16	3	1	12	12-26	7

ტურის სხვა მატჩები: ლენინგრადის „ზენიტი“ — კიევის „დინამო“ — 1:1, მინსკის „დინამო“ — მოსკოვის „ტორპედო“ — 1:1, ვილნიუსის „ჟალგირისი“ — ალმა-ათის „კაიზატი“ — 2:0, მოსკოვის „ლოკომოტივი“ — ხარკოვის „მეტალისტი“ — 1:1, ერევნის „არარატი“ — თელავის „ნერეთორეცი“ — 1:1, ბაკოს „ნეფჩი“ — დონეცკის „შახტიორი“ — 2:2. ეს შეხვედრები „ვარის გაიმართა.

ᲔᲓ. ᲑᲔᲠᲘᲫᲕᲘᲚᲘ.

რედაქტორის მოადგილე
Დ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ

ᲙᲣᲚᲔᲑᲖᲔ ᲛᲔᲢᲘᲐᲓ ᲕᲐᲡᲚᲝᲑᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ 1:0

ᲤᲝᲢᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲫᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡᲜᲐᲚᲘ ᲡᲐᲐᲛᲐ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14, ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘᲗ ᲓᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲘᲚᲘᲗ. ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, ᲮᲝᲜᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡ 29.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲗᲕᲔᲨᲘ 2 ᲯᲔᲠ ᲙᲕᲘᲠᲨᲘ ᲝᲠᲯᲔᲠ ᲓᲦᲔᲨᲘ

ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲠᲘ

ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲘᲤᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: 380096, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. № 14

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ — 93-95-54, ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ — 99-